საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგიაშვილი გურამ სოლომონის ძე



გ. გოგიაშვილი

გოგიაშვილი გურამ სოლომონის ძე (დ. 19. VII. 1934, თბილისი), ჟურნალისტი, მთარგმნელი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1984).

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი ჟურნალისტიკის განხრით (1958). 1954-იდან პრესაში აქვეყნებს წერილებსა და ნარკვევებს. 1965–80 იყო გაზ. „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე, 1980-იდან – ჟურნ. „პარტიული სიტყვის" (შემდგომში „საზრისი") მთ. რედაქტორი, 1991 – გამომც. „სამშობლოს" დირექტორის მოადგილე, 1992–96 – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი, 1996-იდან – ამავე გაზეთის მთ. რედაქტორის მოადგილეა. 60–70-იან წლებში ხელმძღვანელობდა ქართ. ემიგრაციისათვის განკუთვნილ გაზეთ „სამშობლოს".

გ-მა თარგმნა კუბელი პოეტის ნ. გილიენის „ლექსები" (1961) და „საგვარეულო სახელი" (1967); ა. ბლოკის, რ. მ. რილკეს, ი. რაინისის, ჟ. პრევერის, ჯ. როდარის, ს. მარშაკის, ა. ჩეხოვის, კ. პაუსტოვსკის, ა. ოსტროვსკის, ვ. შუქშინის, ე. რაძინსკისა და სხვ. ნაწარმოებები; განსაკუთრებით აღსანიშნავია თარგმანი ფ. რაბლეს კომიკური ეპოპეისა „გარგანტუა და პანტაგრუელი" (I წგ. – 1972, II–1984, III – 1997, IV–1999, V – 2000). მთარგმნელმა ნაწარმოების სტილისტური მრავალფეროვნება (რეალისტურფანტასტიკური, აკადემიურმეცნ., მდაბიურ- კარნავალური ფორმები) ოსტატურად შეუხამა ქართ. ხალხ. მეტყველების სხვადასხვა მანერას, ინტონაციასა და ლექსიკას. თარგმნა აგრეთვე ჰოლანდ. ჰუმანისტის ერაზმ როტერდამელის, ჩეხი მწერლების – ი. და მ. ტომანოვების,

ბრაზილიელი მწერლის პაულო კოელიოს, სერბი მწერლის მილორად პავიჩის ნაწარმოებები.

გ. არის ი. მაჩაბლის (1990), ვაჟა-ფშაველას (1994) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ღირსებისა (1996) და გორგასლის მესამე ხარისხის (2003) ორდენებით.